ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ებ ა

27.06.2011 №62

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის
თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულების და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 7 ივნისის სხდომის №11/77 ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2011 წლის 24 აგვისტოს.
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2011 წლის 22 ივლისს და დასრულდეს 2011 წლის 22 აგვისტოს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში. (მის: ი. ჭავჭავაძის გამზ. №60. IV სართული, ოთახი №421). 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) დოქტორის, მაგისტრის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა (დამოწმებული);

ვ) ხუთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

თ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი.

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი და გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები წყალთა მეურნეობისა და ბუნებრივი სტიქიური მოვლენების პრობლემებზე;

გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება არანაკლები 5 წლისა;

დ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლები 5 წლისა;

ე) ინსტიტუტის პროფილით სამეცნიერო დარგების განვითარების პერსპექტიული გეგმა (სამოქმედო გეგმა).